ხუთშაბათი, 20 სექტემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 205

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს დაპირებისამებრ რედაქცია არ ინახავს. ინაჩება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

კვირას, 23 ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ალექსანდრე-ნეველის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი გადაცვალებულის

ლუარსაბ ჯეიმურაზის ძის ლოლუას

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის და ეკატერინე და ს. ძე დავით აბდუშელიშვილები შვილებითურთ ატყობინებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (3—325—1)

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შეუდგა

ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა გამოცემას სახალხოდ.

ყოველი თხზულება დაიბეჭდება ცალ-ცალკე წიგნაკად ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკაში მოთავსდება:

1. რჩეული ლექსები.
2. კაკო ყაჩაღი.
3. რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?—ბედნიერი ერი.
4. აჩრდილი.
5. დედა და შვილი.
6. განდეგილი.
7. დიმიტრი თავდადებული.
8. კაცია ადამიანი.
9. გლახის ნაამბობი.
10. ოთარაანთ ქვრივი.
11. მგზავრის წერილები.
12. გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები.
13. სარჩობელაზე.
14. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი.

შემდეგში დაიბეჭდება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. (3—უ.—3)

კავკასიის ოლქის სამთამადნო სამმართველოს

უფროსის თანაშემწე

დ. ს. ს. მ. ი. ხენგერი ამით აცხადებს, რომ იმის თავმჯდომარეობით, თანახმად ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის განკარგულებისა, 27 სექტემბერს 1907 წელს ქუთაისში

შესდგება მეათე |საგანგებო| კრება

მარგანეცის ძრეწველთა

შემდეგ საკითხების განსახილველად:

1. არჩევა საბჭოს თავმჯდომარისა.

2. უზრუნველყოფა ქუთაისის კანტორის მოსამსახურეთა ფულით ან ბინით, კანტორის გადატანის გამო ქუთაისიდან ჭიათურაში, და გადადება ფულისა კანტორის გადასატანად ქუთაისიდან.

3. უპირატესობა, რომელიც მისცა გზათა სამინისტრომ ზოგიერთ ფირმებს სხვათა საზარალოდ მარგანეცის გაზიდვის საქმეში.

4. რკინის გზის ტოტების გაყვანა. (3—6.—3)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდნვნისა. (63)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ი. მაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ პროფ. ზიერის მეთოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აპულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—14)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქუთაისში

კბილის ექიმი

ი. დ. ნასარიძე

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—12)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—13)

ექიმი

ივ. გომართელი

პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—8)

კბილის ექიმი

ს. გ. რომანიშვილი

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის, მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—4)

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—6.—2)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—180)

მღვდლობის, დიაკვნობის და მედავითნეობის

ხარისხთა მისაღებად

ამზადებენ ორი-სამი სასულიერო პირნი ერთად. მეცადინეობა გასტანს არა უმეტეს ხუთი-ექვსი თვისა და ღირება იგი სამღვდელოთათვის—60 მან., სამთავროებისათვის—40 მან., ხოლო სადიაკვნოებისათვის—20 მ. რაც მალე მოიყრის ათიოდე მსურველი თავს, იმდენად მალე გაიხსნება სწავლა. დაწვრილებითი პირობანი იკითხონ მღვდელ-მონაზონ იოანესთან, დარიის მონასტერში. (5—323—2)

თეატრი „რენესანსი“.

ქართული წარმოდგენა და კონცერტი

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმედებათ.

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ტ. აბაშიძე, ბ. ტომაშევიჩი და ქართული ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით.

ადგილების ფასი 2 მანეთიდან 30 კაპეიკამდე.

რეჟისორი ბ. ვ. აბაშიძე.

გამგე სტუდენტი გ. ფიფიაშვილი. (1—უ.—1)

იბეჭდება და მალე დარიგდება გასასყიდად ახალი დასურათებული გამოცემა «ბალღის ქართ. ამხ. „გუთნისა“, შედგენილი „მიწის“ რედაქციის მიერ:

ილია ჭავჭავაძის

დაკრძალვა

(კრებული იმ ნარჩევ წერილებისა, დეპეშებისა და სიტყვებისა, რაც კი წარმოთქმულა მხცოვან პოეტის მოკვლიდან დაკრძალვამდის).

უკეთუ კიდევ ვინმე ავტორს სურს ამ კრებულში მოათავსოს თავისი (მოკლე ზომიანი) თხზულება (ჯერ არსად დაბეჭდილი), უნდა მიმართოს ენკენისთვის 20-დის გიორგი სალარიძეს (Верійскій спускъ д. № 15), ან წ. კ. საზ. კანცელარიაში,—ს. ფირცხალავას.

ვთხოვთ აგრეთვე იმ პირთ, რომელთა უკვე წარმოთქმული სიტყვები ჯერ არ დაბეჭდილა გაზეთებში, მოგვაწოდონ ამ კრებულში მოსათავსებლად. (8—6.—7)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნ დ ო ბ ა მ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერავმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო განყოფილება, სადაც მოიპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ჩუბულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი. (20—6.—7)

საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ ტფ. საზოგადოებას, რომ გავლით ამ ქალაქში დავრჩი სულ ცოტა ხანა „ვერსალის“ სასტუმროში, № № 5 და 6.

მ ი ს ა ნ ი

(მარჩიელი)

ანასტასია იურიევის ასული კონსტანტინიდი შეუცდომლად ცნობილობს ხელის გულზე კაცის ყოველივე წარსულს, აწმყოს და მომავალს. რჩევის ფასი 1 მან. და მოსწავლეთათვის 50 კაპ. ვღებულობ დილის 9 საათ. შუადღის 1 ს-მდე და 3 საათ. 6 ს-მდე. (5—520—4)

ეკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

მოითხოვეთ საუკეთესო

წისქვილის ქვები

ამხ. „გეორგია“-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—6)

## ტფილისი, 20 ენკენისთვე.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს თუ დავუჯერეთ, მთელ დასავლეთ ევროპის პრესსა ახლა რუსეთის დიპლომატიურს გამარჯვებაზე ლაპარაკობს. უჯერებენ კიდეც: ზოგი რუსული გაზეთი, მათ შორის გავლენიანი და პროგრესიული ორგანოებიც, დარბაისლურის კილოთი და რწმენით სწერენ რუსეთის დიპლომატიურს „უსპეხ“-ზე, რომელიც ინგლის-რუსეთის შეთანხმებას მოჰყვა ვითომ. ნამდვილად კი გამარჯვებაზე ლაპარაკი სასაცილოც არის, რადგან სწორედ ეს შეთანხმება უტყუარად მოწმობს რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟის დამცირებას.

ჩვენს მკითხველთ თავის დროზე გავაცანით რუსეთ-იაპონიის შეთანხმება, რომლის მნიშვნელობა და ხასიათი ყველასათვის ცხადია: იაპონიამ დიდის მოხერხებით გაამაგრა თავისი მდგომარეობა შორეულს აღმოსავლეთში და დიდის ხნით ჩამოიშორა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური კონკურენცია. ამ შეთანხმების წყალობით, იაპონიამ არა მარტო უზრუნველჰყო რუსეთზე გამარჯვებით მოპოვებული უპირატესობანი, არამედ თავიდან აიცილა რევანშის შიშიც და თავისუფლად მოქმედების საშუალებაც დაინარჩუნა საკმაო ხნის განმავლობაში.

თითქმის ამგვარივე მნიშვნელობა აქვს ახლად დადებულს ინგლის-რუსეთის კონვენციას (30 აგვ. ახ. სტილით). შეთანხმება შეეხება ტიბეტს, ავღანისტანსა და სპარსეთს. სამსვე ამ ქვეყანას ის ტერიტორია უჭირავს, რომლით რუსეთს შეეძლო ინგლისის სამფლობელოსათვის აზიაში საშიში მდგომარეობა შეექმნა. ინგლისი მუდამ შიშში იყო, რომ რუსეთი ოდესმე გადალახავს შუა აზიის ქვეყნებს და ბოლოს ინდოეთზე მიიტანს იერიშს. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს რუსეთის აგრესიულს პოლიტიკას და დაუყონებლივ „იღებდა ზომებს“, როგორც კი რუსეთი ავღანისტანს, ტიბეტს ან სპარსეთს „გამოეთამაშებოდა“. ბევრჯერ საქმე უკიდურესობამდე მისულა და მთელი ქვეყანა სულგანაბულ მოლოდინში ყოფილა—აგერაგერ „ლომი და ვეშაპი“ ერთმანეთს დაეტაკებიანო... მაგრამ გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ „ლომი“ მხოლოდ გარეგანის შეხედულებით ყოფილა „ნადირთა მეფის“ მგზავსი, ნამდვილად კი ერთობ უძლური გამოდგა. ინგლისმაც ისარგებლა „ლომის“ დამარცხებით და იაპონიასავით დიდის ხნით ჩამოიშორა რუსეთის პოლიტიკური კონკურენცია იმ ქვეყნებში, რომელნიც ჰყოფენ მის და რუსეთის სამფლობელოებს აზიაში. ეს ნათლად გამომდინარეობს ახლად გამოქვეყნებულ ინგლის-რუსეთის შეთანხმებიდან.

ყველაზედ უფრო საშიში ინგლისისათვის ავღანისტანის მდგომარეობა იყო. რუსეთს რომ ეს ქვეყანა ჩაეგდო ხელში ან მის საქმეებზე საკმაო გავლენა მოეპოვებია, მაშინ ინგლისს მართლა აღარ ექნებოდა მოსვენება რუსეთისაგან. ამიტომ უძლიერესი კონკურენცია ამ ქვეყნის შესახებ ჰქონდათ ორთავე სახელმწიფოს და ინგლისის დიპლომატიას სწორედ ამ „სადავო ლუკმისათვის“ მიუქცევია მთავარი ყურადღება. ახალის ხელ-შეკრულობის ძალით, „ავღანისტანი უნდა იყოს რუსეთის გავლენის გარედ“; რუსეთს შეუძლია ავღანისტანის მთავრობასთან ურთიერთობა მხოლოდ ინგლისის საშუალებით და შუა-კაცობით; თვითონ დამოუკიდებლად იქ ვერ გაგზავნის თავის აგენტებს; ავღანისტანი ემორჩილება ინგლისის პოლიტიკურ გავლენას, მაგრამ იმ პირობით, რომ ინგლისს ნება არა აქვს მისი დამოუკიდებლობა მოსპოს... როგორც ჰხედავთ, ეს სწორედ ისეთი ყოფაა, რომლის შექმნა ინგლისის დიდი ხნის სურვილი და მისწრაფება იყო: ავღანისტანი მართლა გადაიქცა ბუფერად რუსეთსა და ინგლისს შორის.

ასეთივეა შეთანხმება ტიბეტის შესახებ. რუსეთს აეკრძალა ამ ქვეყნის მთავრობასთან პირდაპირ ურთიერთობის დაჭერა; ეს მხოლოდ ჩინეთის საშუალებით შეიძლება; რუსეთიც და ინგლისიც ვალდებულნი არიან ტიბეტის ტერიტორიის ხელ-უხლებლობა დაიცვან; ამასთან ინგლისს რჩება ის ეკონომიური პრივილეგია-უპირატესობანი ტიბეტში, რომელნიც წინად ჰქონდა უხვად შეძენილი. როგორც ჰხედავთ, აქაც ინგლისს თავისი საქმე გაუკეთებია და რუსეთის დიპლომატიის დიდი ხნის მუშაობა ჩაუფუშნია.

მხოლოდ სპარსეთის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ინგლის-რუსეთის კონვენცია ისე ცალმხრივი არაა (ინგლისის სასარგებლოდ), როგორც ეს ტიბეტისა და ავღანისტანის შესახებ არის. სახელდობრ, კონვენციის ძალით, სპარსეთი ორ ნაწილად „იყოფა“: ჩრდილოეთი რუსეთის გავლენას ექვემდებარება, სამხრეთი—ინგლისისას (შუაზე სანეიტრალო ტერრიტორია რჩება). ინგლისი საქმეს მაინც იმით იკეთებს, რომ სამფლობელოს მოსაზღვრე ტერრიტორიას სპარსეთისას თავის გავლენას უმორჩილებს და ამასთანავე სპარსეთის ზღვაზე მკვიდრათ ფეხის მოკიდებით მეტ სარგებლობას გამონახავს, ვიდრე რუსეთი.

ამგვარია ის კონვენცია, რომელმაც რუსეთი და ინგლისი უნდა „მოარიგოს“ შუა აზიაში. იგი ყველაფერში ინგლისისათვის არის სასარგებლო; ხოლო რუსეთის პრესტიჟს აზიაში კიდევ ერთხელ და საგრძნობლად ამარცხებს. ასეთ პირობებზე რუსეთის ბიუროკრატია არ დათანხმდებოდა იმ დროს, როცა რუსეთის იმპერია ლომად მიაჩნდა ყველას; ახლა კი, მუკდენისა და ცუსიმის შემდეგ, შინაურ დაუძლურების შემდეგაც, რუსეთის მთავრობა იძულებულია ყველას დაუთმოს, ყველას წინ მოიხაროს ოდესღაც ძლიერი და ამპარტავანი ქედი. ხოლო თუ დღევანდელი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა, თუ ბიუროკრატიამ მართლა მოახერხა დროებით ძველის რეჟიმის აღდგენა, მაშინ რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა „ბრწყინვალე პორტის“ მდგომარეობაზე უარესიც შეიქნება...

## წერილი მოსკოვიდან

პანაშვიდი.—უნივერსიტეტი და ქართველი სტუდენტობა.

9 სექტემბერს ქ. მოსკოვში, მიძინების ეკლესიაში, „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ძვირფასის თანამემამულის, მგოსნის თავად ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მოსკოვის მთელი ქართველი საზოგადოება, ქართველ სტუდენტთა მხოლოდ ერთი ნაწილი და თითო-ოროლა სომეხი, ძვირფასს დანაკარგს ყველაზედ ემოქმედნა. გლოვის დაღი აშკარად ეტყობოდა ამ მცირე ჯგუფს. სიტყვა არავის წარმოუთქვამს, რადგან ამავე საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს განსვენებულის სახსოვრად საღამო, რომელზედაც დამსწრეთ გააცნობენ მგოსნის ღვაწლს. სტუდენტობის ერთი ნაწილიც იმ აზრისაა, რომ ჩვეულებრივი ქართული საღამო პოეტის მოსახსენებლად გაიმართოს.

რაც შეეხება წრეულს აქაურ უნივერსიტეტში ახალგაზდათა მიღებას, გაზეთებიდან უკვე გეცოდინებათ ყველაფერი. კერძოდ ჩვენი ქართველების საქმე საკითხავი არ არის. ყველგან ჩვენი არაფრად ჩაგდება, ჩვენი ადამიანურ უფლების ფეხით გათელვა, თითქოს ჩვენ წინააღმდეგ რაღაც ფარული ბრძოლა იყოს გამოცხადებული. მთელ უნივერსიტეტში, იმ დროს, როცა ჩვენნაირივე ქვეშევრდომი ერები (სომხები, ებრაელები) სამის და ხუთის პროცენტით სარგებლობენ, ჩვენ, ქართველებს, ერთი პროცენტის ნებაც არ გვეძლევა. რა სათქმელია, მაგრამ ყირგიზებიც-კი ორჯელ მეტის უფლებით სარგებლობენ, ვიდრე ჩვენ. ნუ დავივიწყებთ, რომ ესა ხდება იმ დაწესებულებაში, რომლის მართვა-გამგეობა ცოტად თუ ბევრად თავისუფალ მოაზრეთა ხელშია. (თვით რექტორი და დეკანების უმრავლესობა ცნობილი კადეტები არიან). ან შეიძლება ეს ვაჟბატონები მარტო სიტყვით არიან მომხრენი ერთა თანასწორობისა, საქმით-კი სულ სხვასა ფიქრობენ. ეჭვი არ არის, უნივერსიტეტის შესანახ თანხაში ჩვენი გაძვალ-ტყავებულ ხალხის ოფლიც ურევია. კადეტებს ჯანი გავარდეთ, მე მომავალი დემოკრატ-ცენტრალისტებისა მეშინიან. ვაი, თუ მათაც ეგევე დაგვმართონ!..

წელს სხვა წლებთან შედარებით მოსკოვის უნივერსიტეტს ქართველობა ბლომად მოაწყდა. მაგრამ, alia jacta est. მოგვიღეს მხოლოდ ორიოდე, ისიც რომელ ნაწილზედაც თვითონ მოისურვეს. ბევრმა, იმედ დაკარგულმა, მაშინვე დასტოვა მოსკოვი და დანარჩენნი, მოწყალების მოლოდინში, დღეს-დღეობით შეჰყურებენ თავიანთ ბედს. **უ. ქარუმიძე**.

## ახალი ამბავი

✦ **სალიტერატურო საღამო ილია ჭავჭავაძის სახსოვრად.** „წ. კ. საზოგადოების“ გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ოცდა-შვიდს ოქტომბერს ტფილისში გაიმართება სალიტერატურო საღამო ილია ჭავჭავაძის სახსოვრად (27 ოქტომბერი განსვენებულის დაბადების დღეა). საღამოზე წაკითხული (შეიძლება, წარმოდგენილიც) იქნება ილიას ლექსები და სხვა თხზულებანი, მოგონებანი ილიას შესახებ, ლექცია იმის პოეზიის ხასიათის შესახებ და სხ. გამგეობა მიმართავს თხოვნით „საზოგადოების“ აგენტებს, წევრებს და სხვებსაც, ვისაც შეუძლიან, აუცილებლად გამართონ საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში 27 ოქტომბერს იმგვარივე საღამოები, როგორიც განზრახულია ტფილისში. ასეთს საღამოს ორნაირი დანიშნულება ექნება: საზოგადოება უფრო გაიცნობს დიდებულ პოეტის ვინაობას და საღამოს შემოსავლით გაძლიერდება ილია ჭავჭავაძის ფონდი. რომ საღამო კარგად მოეწყოს, საჭიროა, ეხლავე შეუდგეს ყველა საქმეს. თვითონ გამგეობა თავის მხრით ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს საღამოების გამმართველთ.

✦ **ილია ჭავჭავაძის ხელთნაწერები** „წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის დავალებით, საზოგადოების მდივანი ს. ფირცხალავა შეუდგა განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკისა და ხელთნაწერების გადათვალიერებას და აღნუსხვას. მდივანს ერთი ნაწილი გადაუთვალიერებია და აღმოჩენილა ერთი რვეული ხელთნაწერი ლექსებისა, რომელთაგან ბევრი არ არის დაბეჭდილი. უნახავს აგრეთვე პოემის „აჩრდილის“ სხვა ვარიანტი და სხვ.

✦ **სოფლის დაჯარიმება.** გორის მაზრის სოფელი ზერტი, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ორმოცი თუმნით დააჯარიმეს. სოფელს აბრალებენ ყაჩაღების დაფარვას.

✦ **კრება.** დღეს, 20 სექტემბერს საღამოს 8 საათისთვის, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია კრება ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა. კრებამ უნდა აირჩიოს საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრნი.

✦ **ქართული წარმოდგენები.** 18 სექტემბერს ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თათბირი ჰქონდა მდგომარე სეზონში ქართულ წარმოდგენების საქმის მოწყობის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, თვითონ იკისროს წარმოდგენების მართვა. გამგეობა უკვე შეუდგა არტისტებთან მოლაპარაკებას.

✦ **ბავშვთათვის მზრუნველი საზოგადოება.** 18 სექტემბერს ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში მოხდა ტფ. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების კრება. კრებამ განიხილა და დაამტკიცა 1906 წლის ანგარიში. შემდეგ უცვლელად მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა. მოსალოდნელია წელს 10,000 მან. ხარჯიც იმდენივე იქნება. კრებამ საპატიო წევრად აირჩია ქ-ნი ოდინოსუმოვისა, რომელმაც საზოგადოებას შესწირა სახლი, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია სკოლა და თავშესაფარი უპატრონო ბავშვებისა. გამგეობის თავმჯდომარედ აარჩიეს ნამესტნიკის, თანაშემწის გენ. შატილოვის მეუღლე, გამგეობის წევრებად—აბროსიმოვი და სუნდუკიანცი.

✦ **ლექციები უმაღლეს კურსებზე.** 18 სექტემბერს საღამოთი უმაღლეს კურსებზე სომხურ ლიტერატურის შესახებ ლექცია წაიკითხა ნერსესიან სემინარიის მასწავლებელმა ბ. მალხასიანმა. მთელი პირველი ლექცია ბ. მალხასიანმა მოანდომა სომხურ ანბანის შემდგენელთ მესროფს და სოაკ. სომხური ანბანი შედგენილია მეოთხე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ.

ამავე დღის ფრიად საყურადღებო ლექცია ანტროპოლოგიიდან წაიკითხა გ. ა. ჯავახიშვილმა. ლექტორმა პირველად აღნიშნა საგანი და დანიშნულება მეცნიერების ამ დარგისა, შემდეგ გადავიდა მცირე აზიისა და კავკასიის ხალხებზე და აღნიშნა ანტროპოლოგიურის გამოკვლევით რომელი ერები არიან ამ ქვეყნებში ბინადარნი და რომელი მოსულნი. ლექტორმა დაასკვნა, რომ მცირე აზიაში პირველად სცხოვრობდნენ ქართველები და სომხები, ხოლო შემდეგ სხვა ხალხები გაჩნდნენ. როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, კავკასიაში ქართველები, სომხები და მთის ხალხი მცირე აზიიდან უნდა იყვნენ გადმოსულნი. ქართველები და სომხები, ლექტორის აზრით, ერთ მოდგმას ეკუთვნიან. ეს ორი ერი ყველაფრით განსხვავდება არიისა, სემიტებისა, ინდოგერმანელებისა და სხვა მოდგმის ხალხთაგან. ლექტორმა ისიცა სთქვა, სომხისა და ქართველის მოდგმას უნდა ეკუთვნოდეს ევროპაში ალპებში მცხოვრები ერი—გეტებიო. მთელი ლექცია დიდის ინტერესებით მოისმინეს დამსწრეთ და ლექტორი ტაშის ცემითაც დააჯილდოვეს.

✦ **დაპატიმრება.** პოლიციამ 18 სექტემბერს გაჩხრიკა ტფ. სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტი ნეჩაევი, რომელსაც აღმოაჩნდა არა ლეგალური ლიტერატურა. ნეჩაევი დააპატიმრეს.

✦ **დაჭრა.** ბაქოში დაუჭრიათ ბიბიეიბათის სამრეწველოს მექანიკოსი კოტოვსკი. მიზეზი დათხოვნილ მუშის მიერ მურის ძიებაა.

✦ **გაფიცვა.** ბაქოში ტერ-აკოფოვის სამრეწველოს მუშებმა თვე ნახევარი გაფიცვის შემდეგ მუშაობა დაიწყეს. რუნის სამრეწველოში იტალიური გაფიცვაა. ეს გაფიცვა იმაში მდგომარეობს, რომ მუშები თუმცა სამუშაოდ გადიან, მაგრამ ძალიან ცუდ რამეს აკეთებენ.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს ვ. ანუკაანცი და ვ. მანუკიანცი, რომელთაც ჰბრალდებათ ზეგლიაროვზე თავდასხმა. პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება გიორგი ორუაშვილი. უკანვე, ვიატკის გუბერნიაში იგზავნება იქიდან გამოგზავნილი მ. ალექსანდროვი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ: ა. არუთინიანცს, ს. ტერ-მარქაროვს, ს. ოჰანეზოვს, ადამ გობაშვილს, სპირიდონ ნადვილს, ალექსანდრე საქრაძეს, ივანე ქელბაქიანს, ა. მალხასიანს, ვასილ ბუგუპურს. დააჯარიმეს: ხუთი თუმნით—მეტრაქტირე დ. აივაზოვი, სახლის პატრონი კ. მარქაროვისა; ოცდა ხუთი მანეთით—სახლის პატრონები სულთანოვი, კადეტთა კორპუსი, პეტროვი, ოსიფოვი, სულხანოვი და ალილოვი. ჯარიმის გარდაუხდელობისათვის ერთი თვით დააპატიმრეს მედუქნე სატიოზე ილია ბროძელი.

✦ **ვერცხლი და სპილენძი.** როგორც შევიტყეთ, ინგლისის კაპიტალისტებს 44 წლის ვადით იჯარით აუღიათ ლიხის მთაში სოფლავანდიშვილო ადგილი. ამ მთაში ვერცხლი და სპილენძი აღმოჩენილა.

✦ **მოხელე მოსამსახურეთა სია.** გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებებს მოსთხოვა სია მოხელე მოსამსახურეებისა. სია უნდა წარედგინოს ახლად დანიშნულ გუბერნატორს ლოზინსკის, რომელსაც ამ დღეებში მოელიან.

✦ **სხდომა.** 21 სექტემბრისთვის, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, დანიშნულია სხდომა საგუბერნიო საგლეხო საკრებულოსი მემამულეთა და გლეხთა შორის ამტყდარ დავის გასარჩევად. სხდომაზე, სხვათა შორის, მიწვეულია თავადაზნაურთა გუბერნიის მარშალი.

✦ **სესხი საგლეხო ამხანაგობას.** სიღნაღის მაზრის ეგრედ წოდებულ „კაიბანის“ საგლეხო ამხანაგობას საგლეხო ბანკიდან სესხად მიეცა 4800 მანეთი. ამ ფულით ამხანაგობას თავ. ი. ჯორჯაძისაგან შეუძენია ოთხმოცი დესეტინა მიწა.

✦ საგლეხო საკრებულოს ხშირად მოსდის შუამდგომლობა როგორც გლეხთა, ისე მემამულეთაგან, რომ საგლეხო ბანკის შემწეობით გამოსყიდულ იქმნას ესა თუ ის მამულები.

✦ სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკი მირონოვი დანიშნა სიღნაღის მაზრის ქიდასდის ნაწილის ბოქაულად.

✦ 18 სექტემბერს ადექსეევის ქუჩაზე მომავალს ნიკოლოზ დეგროვს თავს დაესხა ორი შეიარაღებული კაცი. ავაზაკებმა დავროვს წაართვეს 400 მან. და მიიმალნენ.

✦ პოლიციამ დააპატიმრა არისტეს პეტროსიანცი, რომელსაც ჰბრალდება ტერ-მიქაელიანცის მოკვლაში მონაწილეობის მიღება.

✦ 18 სექტემბერს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ, მუშტაიდის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი № 27 დაეტაკა დრაგუნის ჰოლკის პატრულის ცხენოსან სალდათს. ვაგონმა წააქცია ცხენი. დრაგუნმა თავი ქვაზე დაჰკრა და დაშავდა. ვაგონის დამატარებელი და კონდუქტორი დააპატიმრეს, მაგრამ მეორე დღეს ორივენი განათავისუფლეს.

✦ გორის მაზრის სოფელ ერტისის გლეხებს უთხოვნიათ სასოფლო სამეურნეო თანხიდან 500 მანეთი. ეს ფული თესლის სასყიდლად უნდათ.

✦ ახალქალაქის მაზრის სოფელ გომის გლეხები შუამდგომლობენ, მიეცეთ სახელმწიფო თავისუფალი მიწები.

✦ 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათზედ, ინჟენერ შახნაზაროვის ბინაზე შეპარულან ქურდები და ძვირფასი ხალიჩა მოუპარავთ.

✦ 18 სექტემბერს დამე ტეხნიკოსმა სტროიანოვსკიმ მთვრალმა შეცდომით წყლის ნაცვლად დალია კარბოლის სიმჟავე. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისურები ჩვეულნი არიან ყოველ გვარ სიურპრიზებს, ამიტომ არც ის გააკვირვებთ, რომ შემოდგომიდან ისინი იძულებულნი იქნებიან სიბნელით მოცულ ქუჩებში იარონ. საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ მ. ლადიძეს თუ შემოდგომაზე არა, ზამთრის პირად მაინც 100 ელექტრონის ფარანი უნდა დაედგა ქუჩებში. წინადვე შემუშავებულ პირობაზე ლადიძეს მხოლოდ ხელი-ღა უნდა მოეწერა. ხელის მოწერა რომ გაჭიანურდა, ყველას ეჭვი შეეპარა—ვაი თუ აქა [illegible] რამე იმალებოდესო. [illegible] გამოირკვა, რომ ბ-ნ ლადიძეს საქმის დამთავრებისთვის ვადა უნდა [illegible] რომ საჰიდრავლიკო სადგური მოაწყოს. რა მოხდება [illegible] შემდეგ [illegible] სათქმელია, ხოლო ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ელექტრონი ქუთაისს წრეულს არ ექნება. არ გვინდა, ბატონო, ელექტრონი, ნავთის გაუმჯობესებულ ფარნებით მაინც გაგვინათეთ ქუჩებიო, გაიძახის ქუთაისის მკვიდრი.

✦ ქალაქის საქმეთა საკრებულოს ნახევრად შეუმცირებია ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში ის ფული, რომელიც გადადებული იყო ქუჩების მოსაკირწყლად და შესაკეთებლად. შეუმცირებია აგრეთვე მოსამსახურეთა ჯილდო და ბულვარის გაუმჯობესობისათვის გადადებული 1800 მანეთი. საბოლოოთ საკრებულო ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს ამ დღეებში.

✦ სტიპენდიების განმანაწილებელმა კომისიამ, ბევრის ბჭობისა და დავის შემდეგ, დაამტკიცა სტიპენდიების სიები, რომელიც უკვე გამოკრულია დეპუტატთა საკრებულოში. გაზვიადებული მადა ზოგიერთ თავადისა, როგორცა სჩანს, კომისიას შეუკვეცია და სიაში ვეღარ ნახავთ სამ შვილს ერთის კაცისას. სტიპენდიების განაწილება ძალა-უნებურად ენუქას ანდერძს მოაგონებს კაცს. სტიპენდიანტების სია უკვე შემდგარია, მაგრამ ფული-კი არსად სჩანს. ქართულ გიმნაზიისთვის გადადებულ ფულს, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, სტიპენდიებს ვერ მოახმარებენ, პეტერბურგიდან მისაღები ფული შეიძლება ისე დაგვიანდეს, რომ წლიწადზე მეტმა განვლოს.

✦ მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ გაზაფხულზე ქუთაისის საზოგადოებათა და კავშირთა საკრებულომ არ დაამტკიცა „ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოების“ წესდება. ტფილისში ასეთივე წესდება დაუბრკოლებლად დაამტკიცეს. ასეთივე ბედი ეწვია სახალხო უნივერსიტეტის წესდებას, რომელიც წარუდგინეს ქუთ. საკრებულოს ვ. ნასარიძემ და ი. კაკაბაძეს. თუმცა ეს წესდება მთავრობის მიერ დამტკიცებულ ტფილისის წესდებიდან იყო სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი, მაგრამ საკრებულომ იგი მაინც არ დაამტკიცა.

✦ ქუთ. გუბერნატორმა განთავისუფლა ქალაქის თვით-მართველობა იმ ვალისაგან, რომელიც ქალაქს დაედო კურინის პოლკის აფიცრების ბინის ხარჯად. ვალი უდრიდა 2.000 მანეთს.

✦ პურის ფასი ქუთაისში დღითი-დღე იზრდება. ერთი კვირა არ გასულა, რაც პურს ერთი კაპეიკი წაუმატეს. ეხლა პურის მცხობლებმა ქ. გამგეობას ახალის

## ფელეტონი

### დიდებული მოძღვარი

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია.“

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

უკვე ბნელსა და ეგრედ წოდებულ გრილ მიწას მივაბარეთ გვამი ჩვენის დიდებულ მოძღვრისა, ჩვენის დიდის კაცისა და მე კი ჯერაც კალმისათვის ხელი ვერ მომიკიდნია. იმ ჩვენის ერისათვის შავ დღეს მერმე რაღაც უხილავი და უცნაური ძალა ყურში ჩამკივის და დაჟინებით მოძღვრის დიდებულ სიტყვებს იმეორებს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

და ისეთისავე ჯოჯოხეთურის დაჟინებით ეს ლექსი აქა სწყდება. ამ უცნაურ ხმას თან ირონიული კილო აქვს და კბილთა ღრჭენა მესმის, თან საოცარის სევდითა და ნაღვლით არის აღვსებული, და ამ დროს მომელანდება ჟამშვიდებული სახე მოძღვრისა საუკუნო საიდუმლოებით მოცული და თვალიდან ჩემ-და უნებურად ცრემლი მომდის. ამ დროს ყოველთვის კალამი ხელიდან მივარდება.

მეოთხედ საუკუნეზედ მეტია მას მერმე, რაც პირველად გავიგონე ძვირფას მოძღვრის სახელი. ისე მახსოვს ყოველივე წვრილმანი ამ დღისა, თითქო გუშინ მომხდარიყოს და თითქო იმდენის უბედურების მოწმე არ ვიყო, რომ ფიზიკური არსებობაც უნდა დამვიწყებოდა, არა თუ წარსულის ხსოვნა და ისიც ამ ხნის წარსულისა. მაგრამ ჰგავს ღრმა და გარდუვალი იყო ეს პირველი შთაბეჭდილება ექვსისა, თუ შვიდის წლის ბავშვისა, რომლის გულშიაც პირველად გააღვიძა ღვთის ცეცხლით მოსილმა მგოსანმა დაუვიწყარი გრძნობები.

მახსოვს ოთახი ჩემის სახლისა, მახსოვს ტახტი, რომელზედაც ვიყავი ჩამომჯდარი; მახსოვს დღე, მახსოვს პატარა წიგნაკი, მახსოვს ნასტამბის შრიფტი. პირველი ლექსი, რომელზედაც კი მიმითითა ჩემმა მეზობელმა, სემინარიის მოწაფემ, რომელიც ჩემთან დადიოდა და მასწავლიდა, იყო „ტყეს ესხმება ფოთოლი“, და ამ დღიდან მომხიბლავი მნიშვნელობა იმ სიტყვებისა, რომლითაც თავდება ეს ობოლი მარგარიტი ქართულის სალირიკო პოეზიისა—„მამულო საყვარელო, შენ როსღა აღყვავდები?“—ჩემთვის დაუვიწყარი შეიქნა. ამის შემდეგ მე ხელთ მეპყრა დაუშრეტელი ლამპარი, რომელიც ჩემს ბედ-კრულ ცხოვრებაში თან მიძღოდა...

დიდებული მოძღვარი ჩემთვის რაღაც ღვთაებად გადაიქცა, რომლის ყოველ ნაწერს გულის კანკალით ვკითხულობდი და ვზეპირობდი. სულ 13—14-ის წლისა თუ ვიქნებოდი, როცა „განდეგილი“ დაისტამბა და უკვე გაცხარებულს ბაასსა და კამათში ვებმებოდი და ქუთაისის „ბულვარსა“ და „სალონებში“ ამხანაგებთან და ლიტერატურის დილეტანტებთან ბრძოლა და დავა მქონდა ამ დიდებულ ქმნილების ღირსებათა შესახებ.

დაუვიწყარი მოძღვარი ჩემი საყვარელი, თაყვანსაცემი მწერალი იყო.

მახსოვს 1888 თუ 87 წელს მოძღვრის ბრძოლა—დაცვა ქართველობისა, მისი „აი ისტორია“, რომლის ნაწილები მაშინდელის შენიშვნებით დღესაც შენახული მაქვს. მახსოვს მე და ერთი ჩემი მეგობარი იმ დროს რა გაცხარებულნი ვებრძოდით მოწინააღმდეგეებს.

მახსოვს ის აღტაცება, რომლითაც გამოიწვია ჩემში მოძღვრის თხზულებების გამოცემამ „ქართულ ამხანაგობისაგან“, რა გულის კანკალით ველოდით პირველ წიგნის მიღებას, რა აღტაცებულის სიხარულით შევიძინეთ თითო ეკზემპლიარი, რა გაფაციცებით ვკითხულობდით, რა სიხარულით მოველოდით ყოველ ნაწერს იმის შესახებ.

მახსოვს, უნივერსიტეტში მყოფმა პირველად ვნახე დიდებული მოძღვარი, და რომ იცოდეთ, რა მწარე ხსოვნა აღმიძრა ახალგაზდა მოწაფის ჟორჟოლიანის სიტყვამ იმის შესახებ, თუ რა ნეტარებით ელოდა იგი ილიას ნახვას. გამახსენდა, რა სალტოლველ საგნად იყო ჩვენთვის გადაქცეული ჩვენის დიდის მოძღვრის ნახვა, და აგერ შარშან ერთ ჩემ მეგობართაგანს, რომელსაც ჯერაც არ ენახა მოძღვარი, ბავშვურის ნატვრის ცეცხლი ჰქონდა აღგზნებული თვალებში.

მახსოვს მოძღვარი მებრძოლი, ორატორი საოცარი. მახსოვს, რამდენჯერ შემბრალებია, რომ იმის დიად ორატორულ ნიჭს ასპარეზად პარლამენტი არა აქვს. მახსოვს, რა თაყვანისცემით, რა სიყვარულით აღსავსე კრძალვითა და მორიდებით ვეპყრობოდით ყველანი, როცა იმის რედაქციაში ვმუშაობდით. „დევნაცა და წყევლაც“ მიგვიღია მოძღვრისათვის ერთგულ მოწაფეთ, თავისებური „ეკლის გვირგვინიც“ ვითომ კი გვიტარებია... მახსოვს შემდეგში, ვითომ კიდევაც დავშორდით ერთმანერთს და დავშორდით, როგორცა სჩანს, მექანიკურად და არა სულით და გულით—ჩვენი ტანჯვა და ვაება ამისი საბუთი.

მახსოვს, მისის ნაწერებით გატაცებულმა კალამს ხელი მოვკიდე, რაც კი შემძლებია ჩემს მცირე ძალღონეს, მთელი სიყვარული, მთელი აღტაცება, მთელი სასოება მოძღვრისა, მთელი ჩემი რწმენა და გულის ნადები იმ ნაწერში გამომიხატავს, ჩემებურად ჩემი სული და გული გადმიშლია, ჩემი უდიდესი სულიერი მოთხოვნილება ამ ნაწერით დამიკმაყოფილებია, ისე რამდენადაც გლახაკსა და ღარიბს შეუძლიან დაიკმაყოფილოს თავისი დიდი ფიზიკური შიმშილი დაობებულის ქადის ნატეხით—სად დიდებული, შეუდარებელი მგოსანი და ძლევა მოსილი მოძღვარი და სად ჩემი საწყალი წვრილმოტეხილი კალამი!

სულ უკანასკნელად მახსოვს მოძღვარი იმ დროს, როცა ეგრე უარყოფილი და სასაცილოდ აგდებული „პეტიციები“ ითხზებოდა. მახსოვს დიდებული კაცი, რომელმაც ჩვენ, მაზედ უფრო აღგზნებულებს, გარეგნად მაინც, თავისის დინჯის და წყნარის შენიშვნით ის ნაბიჯი გადაგვადგმევინა, რომელიც უიმედოდ მიგვაჩნდა იმ წრესა და იმ პირობებში, სადაც ვმოქმედობდით. „პეტიცია“ თავად-აზნაურთა კრებებისთვის უნდა მიგვეღებინებინა. იმ თ.-აზნაურობისაგან, რომელმაც ისე სამარცხვინოდ იდღესასწაულა სამგლოვიარო დღე მონობისა, არას გამოველოდით და ამიტომ ვცდილობდით მეტად დიდი გასაბედავი არ მოგვეთხოვა, რომ მცირეზედაც უარი არ გვეთქმევინებინა, და საქართველოს ერის უფლებები მხოლოდ კილოკავად მოვიხსენეთ. მახსოვს მოძღვარი, რომელმაც განაცხადა, მე მაგას ხელს ვერ მოვაწერ, მანდ ქართველის ერისთვის არაფერია, ჩასწერეთ შიგ მოთხოვნილება ავტონომიისა და პირველი ვაწერ ხელსა... კი მაგრამ რომ არ მიიღოს კრებამ? ამ ჩემ თავზედ მიდვიაო...

მახსოვს.... მაგრამ რა....

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია....

მერე, მერე ოჰ, უცნაურო ხმავ! ოჰ, უსაშინელესო ტანჯვავ! რა არის ეს დაჟინება, მაყვედრი რასმე, დამცინი რასმე?

მახსოვს ჩრდილოეთი სატახტო ქალაქი. მახსოვს გაზეთი... მახსოვს ორი სტრიქონი: „ტფილისის მახლობლად სასიკვდილოდ დასჭრეს სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ი. ჭავჭავაძე და მოუკლეს მსახური“. მახსოვს, სახტად დავრჩი...

მთელი საშინელი სურათი თვალ წინ გადმეშალა. ვიცოდი ვინ მოჰკლა, როგორ მოჰკლეს, რად მოჰკლეს.... მაგრამ ამ ფაქტის შერიგება შეუძლებელი იყო... გრიგ. ვოლსკის ამბავი გამახსენდა, გულის ფანცქალით ველოდი ორ დღეს და თუმცა ჩემს გულში რაღაც ძარღვი გაწყდა, ლაჩარი გრძნობა მაინც მანუგეშებდა—არა, არაფერია, მორჩება, თუმცა დაჭრილიაო.... თითქო აქ მარტო ფაქტს არა ჰქონოდეს მნიშვნელობა. მეორე დღეს საშინელება დამტკიცდა... ვინ?... ჩემთვის ცხადზე უცხადესი იყო! რად? ჩემთვის ცხადი იყო... მე პირდაპირ როგორღაც წინასწარმეტყველური შეგნება მომეცა მოვლენისა.... ჩემი მდგომარეობა მაინც გამორკვეული არ იყო. უეცრად ყოველივე, რაც-კი ჩემის ცხოვრების იდეალს შეადგენს, დამსხვრეულად მომეჩვენა... ჩემს ნერვებს ვაბრალებდი. ქართულ გაზეთს („ისარს“) არც-კი ვეძებდი, მეშინოდა, ვფიქრობდი—ვაი თუ ამ ფაქტს სხვაგვარად უცქერიან და არა ისე, როგორც მე... მაშინ ხომ ჩემი სიგიჟე ცხადია მეთქი.

მხოლოდ როცა წავიკითხე პირველი ნომერი „ისრისა“, ჩემი მდგომარეობა გ

თხოვნით მიმართეს—თუ სამ დღეში არ მოუმატებენ რიხს, [illegible] ვიქებით შევაჩეროთ პურის ცხობაო. ფულებს ორი აბაზი მოემატა. [illegible] ეს თხოვნა და საბაზრო კომისიას მიანდო საქმის გარჩევა და თავის აზრის წარდგენა. სიმინდის ფასმაც აიწია. ფუთი 1—60 კაპ. ნაცვლად ვერ იყიდება.

სამგზის ხნულის 17 ენკენისთვის დაწყებული 16 მნისიდან და ამავე სხვა საკითხის განხილვა გადადვა.

✦ ქალაქში ამ ცამად დიდ ძალი ყურძენი შემოდის. მოსავლის სიცდის გამო ფუთი ყურძენი იყიდება 70 კაპ.

✦ ქალაქში ხმა დადის, რომ ქუთაისის გუბერნატორი გენერალი იაზიკოვი ამ ცოტა ხანში სამსახურს თავს ანებებს.

## პრესსა

„ჩვენი გზა“, „ურდული“, „ცისკარი“ e tutti quanti—ყველანი აყაყანდნენ და ბრაზმორეულები იცრიმიან მოლდინ ჩვენზე. რა ამბავია, ბატონებო? რა მოხდა? რამ გაგიჩინათ და რამ გაგამწარათ ასე? ჩვენ გაწყენინეთ რითი? რითი, ბატონებო? ნუ-თუ იმითი, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელი ნაძირლების [illegible] ამას ხომ არც თქვენ ჰყოფთ უარს?

— ან იქნებ იმითი, რომ შევეცადეთ ავეხსნა და აგვეხსნა ის ატმოსფერა, რომელშიაც [illegible]

[illegible]

მორიგეთ. მაშინ ვიგრძენი, მთელი ფიზიკური ტკივილი [illegible]

[illegible]

—საქართველო, ქართველი ერი, [illegible]

[illegible] მოკლა ქართველის ერის სული,

წინადაც გითხარით და ეხლაც გიმეორებთ, რომ საპოლემიკო ასპარეზიდან არ გაგექცევით; მაგრამ ნათლად და პირდაპირ აღიარეთ: რის წინააღმდეგ არის მიმართული თქვენი კალამი, სახელდობრ რა გინდათ დაარღვიოთ, ახსნათ და დაამტკიცოთ. ჩვენის მხრით სადავო საგანი ნათლად არის დაყენებული: 1) ილიას მკვლელობა პარტიის საქმე არაა; 2) **შესაძლებელია**, რომ ის მოჰკლეს პარტიის დაუკითხავად იმ ნაძირალებმა, რომელთაც დაამახინჯეს დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა უაზროო ადამიანთა სისხლის ღვრით და რომელნიც ამავე დროს დარწმუნებული არიან, რომ რევოლიუციას ემსახურებიან; 3) თუ ეს ჩვენი მოსაზრება მართალია, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ამ საზიზღარ მკვლელობისთვის ნიადაგი შეამზადა, სხვათა შორის, იმანაც, რომ ერთი „მიმართულება“ ავრცელებდა და ხალხს უნერგავდა სიძულვილს ჩვენის ქვეყნის წარსულისადმი, ჩვენის ეროვნებისადმი და მის მოღვაწეებისადმი. აი, სადაო პლატფორმა. აქ წამოყენებული საკითხები არავის არ შეურაცხყოფენ და მათი გარჩევა, დამტკიცება ან უარყოფა-დარღვევა სრულიად შესაძლებელია შეუწყნარებელ ჟანგაშის აუტეხელად და განსვენებულის ხსოვნის შეულახველად.

მაგრამ, უბედურებაც ისაა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი იეზუიტურ ხრიკებისა და ცილისწამების მორევში უკეთესად ჰგრძნობენ თავს, და გული მოსდით, როცა იქ მოპირდაპირის ჩათრევა უძნელდებათ.

## ღარიბ ხალხის მოტყუება

(მკითხველთა საყურადღებოდ)

აგვისტოს შუა რიცხვებში ვიღაც ტერ-სააკოვმა ქუთაისში, ბაღის პირდაპირ, გიმნაზიის ქუჩაზე, გახსნა საქსოვ მაშინების კანტორა და ხალხს აუწყა, ვინც ჩემგან მაშინას შეიძენს, საქსოვ მასალასაც (ძაფს) მივცემ, მოქსოვილსაც მე ავიღებ და ამით მშრომელ ადამიანს ფულის შეძენა შეუძლიანო. იმათის ანგარიშით, თითო ადამიანი დღეში გააკეთებდა 1 მ. 50 კაპეიკს, მეტსაც. გვპირდებოდნენ, მაშინაზე მუშაობასაც ჩვენვე ვასწავლითო. მასწავლებლად გამოაცხადეს იაკობ სარიშვილი, რომელიც ხან ქსოვის მასწავლებლობას ჩემულობდა და ხან ფირმის წარმომადგენლობას. რა თქმა უნდა, ამ გაჭირვებისა და აკლება-აწიოკების დროს ქუთაისშიაც, როგორც სხვაგან, ბევრი აღმოჩნდა ხელ-მოკლე და ლუკმა პურის მძებნელი. ყველა ესენი მიაწყდნენ ამ „ახალ ფირმას“, ეგრედ წოდებულ მსწრაფლ მქსოვ მაშინების „უნგარია“-ს ცენტრალურ კანტორას. მაგრამ—დახე უბედურებას!—იმათ, ვინც დიდის სიხარულით მოჰკიდეს ხელი ქსოვის სწავლას, შაბათს, 1 სექტემბერს საღამოთი დაკეტილი კონტორა ორშაბათს 3 სექტემბერსაც დაკეტილი დახვდათ. დარჩნენ კარებთან კონტორის წინ თავ შეყრილნი. არ იცოდნენ არც აღის ტერ-სააკოვის და არც მასწავლებლის სარიშვილის ასავალ-დასავალი, ხოლო როცა გაიგეს, კონტორა აღარ არის და ის ვაჟბატონი შანტაჟისტებიც გაიპარნენო, იმათი ტირილი და მოთქმა ცასა სწვდებოდა. არ ვიცი, რა კაცი უნდა ყოფილიყო იმათი მნახველი, რომ არ შეჰბრალებოდა. იყვნენ შორიდან მოსულნიც, მოხუცნიც, წვრილ ობლების პატრონი ქვრივნიც. დაიწყეს აქეთ იქით ნაცნობებში კითხვა, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ტერ-სააკოვი რამდენიმე დღით ადრე გამგზავრებულა ტფილისში, ხოლო სარიშვილს შაბათს, 1 სექტემბერს, საღამოთი, როცა მოსწავლე მუშა ქალები გაუსტუმრებია და დაუპარებია, ორშაბათს დილით ადრე მოდითო, და ადრიანად კონტორა დაუკეტავს, როცა კარგა დაღამებულა, მიბრუნებულა, კონტორა აულაგებია და თითქმის სახლის ქირის გატაცებაც მოუნდომებია. სახლის პატრონს ძლივ ძლიობით, სტრაჟნიკებისა და პოლიციის შემწეობით, გადაუხდევინებია ქირა.

ამ ვაჟბატონებს თითო მოსწავლისაგან ოცდა-ხუთი მანეთი ბე აქვთ აღებული. მაშინებსაც, ვისაც უკვე მიჰყიდა და ჩააბარა, უსაჭიროესი ნაწილები აკლია, ურომლისოდ მაშინები არ ვარგა. დაჰპირებია, ამ დღეებში მოგვივა და მოგცემთო. ზოგს კიდევ მაშინაზედ მუშაობა არ უსწავლია, ა[ი] ე რომ გამოუსადეგარია ის მაშინა, რომელშიაც სიმწრით ნაშოვნი და ნავალები 125 მანეთი გადაუხდია (ეს მაშინები თურმე 25 მანეთი ღირებულა ადგილზე).

როგორც გავიგეთ, ბ-ნ ტერ-საკიანცს, ბაიახჩანცის ამხანაგობით, ტფილისშიაც მოუტყუებია ხალხი. მას კანტორა ჰქონდა ტფილისში ნიკოლოზის ქუჩაზე, № 9, და დღეს ვინ იცის სად გადავიდა როგორც ტფილისის, ისე ქუთაისის კანტორები. ამიტომ ამ უნუგეშოდ დარჩენილმა ხალხმა არ იცის, სად, რომელ ადრესზე მიმართონ იმ ვაჟბატონებს ან ვის მოსთხოვონ გატაცებული ბე. ამ ვაჟბატონებმა შანტაჟისტური მოქმედება მარტო ტფილისში არ იკმარეს და ქუთაისშიც ჩაიდინეს. ვინ იცის კიდევ, რამდენ ქალაქში გააბამენ თავიანთ ქსელში ღარიბ ხალხს, თუ ზომები არ იქმნა მიღებული.

საჭიროა ხალხმა ჯეროვანი პასუხი მოსთხოვოს ტერ-საკოვს და იმის ამხანაგებს... **ლეონტი მიხაილოვი.**

—დიდებული კაცი ერისა არის მისი სული.

ქართველმა ერმა დიდებულის მოძღვრის სულის მოკვლაც მოიწადინა და ვითა საშუალო საუკუნოებში, ამ რამდენსამე წლის წინად დიდუბის მოედანზე დიდებულის მოძღვრის ნაწარმოები ცეცხლს მისცა. ქართველმა ერმა თავისი მადლობა დიდებულ მოძღვარს იმითი გადაუხადა, რომ როცა „**სახალხო**“ თეატრის დარბაზში ტფილისში მოძღვრის სახელის ხსენება უნდოდათ, ამის მსურველი კინაღამ სცემეს, ხოლო დიდებულის კაცის სურათი ფეხ ქვეშ განართხეს. დღეს კი სამარეში ცალის ფეხის მქონე მოძღვარს სიცოცხლე დაუმოკლეს...

ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისი, რომ ქართველი ერი უკურნებელის სენით არის ავად და მისი დღეები დათვლილია, ეს ცხადზედ უცხადესია. ეს სიმპტომი ისეთია, როგორიც სულთ-მობრძავის ხრიალი...

მოჰკლა და მერე პარადი გააკეთა... მოძღვრის დასაფლავებაზედ, ქართველს რომ ნამუსი ჰქონოდა, არც-კი უნდა გამოჩენილიყო, თავზედ ნაცარი უნდა დაეყარა და სახლში ჩაკეტილიყო; თავის თავისაც უნდა შინებოდა...

იტირა—ვინ? სამძიმარი გამოუცხადა—ვის? ნუგეში სცა—ვისა? განა არ იცოდა, რა ხდებოდა ამ დღეს? ამ დღეს ქართველმა ერმა თავის თავისთვის საფლავი გაითხარა...

ამ ფაქტმა მე და ორიოდე ჩემსავით გიჟს საშინელება ქართველის ერის დაღუპვისა თვალ წინ ნათლად დაგვიხატა... მოგვისპო ყოველივე სასოება ერისა, გაგვიქარწყლა იმედი, და დღეს, მოხუცებულობაში მიღწეულთ (ქართველი კაცი ოცდა ათ წელიწადს შემდეგ მოხუცებულია), წაგვართვა ის, რითაც ვსაზრდოებდით ოცდა ათის წლის განმავლობაში. მოგვგლიჯა გულიდან, წალეკა მეხსიერებიდან და მიწაზედ დაანარცხა ჩვენი იდეალი, ჩვენი რწმენა, ჩვენი დარდი და მუდმივი ფიქრი და ოცნება—„მამულო საყვარელო, შენ როსდა აღყვავდებიო“?

პასუხი მოგვესპო; ნაცვლად მესმის ჯოჯოხეთური სიცილი ბოროტის ძალისა—„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“? თითქო დასცინოდეს დიდებულ მოძღვარს: ეგეც შენი უკურნებელი ოპტიმიზმი, ეგეც შენი შეურყეველი რწმენა, აი შენი „კარგი ქვეყანაო“. მესმის ეს სიტყვები და თანაც მელანდება დიდებულის მოძღვრის დასისხლიანებული დამშვიდებული სახე, საუკუნო საიდუმლოებით მოცული...

აი, ეს არის ეხლა ჩემი (და ჩემიანების) დაუსრულებელი ტანჯვა; ეს არის ჩემი (და ჩემიანების) უსაზღვრო კაეშანი და ვარამი... რა საუკუნო გრძნობით შეუერთდი გამოუცნობელს, დიდებულო მოძღვარო, გაგახსენდა ეს სიტყვები, დარწმუნდი, რომ შენი „კარგი ქვეყანა“ გკლავს და საუკუნო გულის ტკივილით განუტევე სული, რაიცა უფრო მწარეა ყოველ სიკვდილზედ.

უექველია, უეჭველი, თორემ რად დამხარხარებს ეს წყეული ხმა, რად ურევს მწარე ირონიასა და გესლს, რადა სწყვეტს შუაზედ დიდებულს გრძნობას დიდებულის სულის შექმნილს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“?

**კიტა აბაშიძე.**

## მუშების ცხოვრება

**ტანისამოსის მოვაჭრეთა მუშები.** 5 სექტემბერს მოხდა ძველ ტანისამოსის მოვაჭრეთა კრება. კრებას დაესწრნენ გაფიცულ ნოქრების და შეგირდების მიერ შესათანხმებლად არჩეული პირები. კრებამ, მოისმინა-რა ნოქრებისა და შეგირდების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი, გადასწყვიტა ნოქრებისა და შეგირდების სასარგებლოდ. მიღებულ იქმნა შემდეგი მოთხოვნილებანი:

1. ცხრა საათის სამუშაო დრო;
2. ერთი საათი სადილისათვის;
3. ნოქრებისა და შეგირდების მიღება-დათხოვნა ნოქრების კავშირის საქმეა;
4. „ხაზეინებს“ უფლება არა აქვთ აიყვანონ თოთხმეტ წლისაზე უმცროსი შეგირდები. არ უნდა აიყვანონ აგრეთვე უჯამაგიროდ, როგორც აქამდის იყო.
5. უფლება არა აქვთ ნოქარს ან შეგირდს მუშის საქმე გააკეთებინონ.
6. ნოქრებსა და შეგირდებს წელიწადში უნდა მიეცეთ ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირით და ადგილის შენახვით.
7. ჯამაგირების მომატება: ვისაც კვირაში 20 კაპეიკი ან 80 კაპეიკამდის აქვს, უნდა მოემატოს კვირაში 40 კაპეიკი; ვისაც 1 მანეთიდა 2 მანეთამდე აქვს, უნდა მოემატოს კვირაში 1 მანეთი; ვისაც 2 მანეთზე მეტი კვირაში, უნდან მოემატოს 1 მანეთი და 25 კაპეიკი.
8. ავადმყოფობის დროს ექვსი თვით ადგილის შენახვა;
9. ავადმყოფობის დროს სამი თვის ჯამაგირი და სამ თვეშიაც ნახევარი ჯამაგირი.
10. არ შეიძლება ნოქარს ან შაგირდს ისეთი საქმე მიენდოს, რაც იმათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს;
11. მუშას არ შეიძლება გააკეთებინონ ნოქრების ან შეგირდების საქმე;
12. თუ უმიზეზოდ დაითხოვენ ნოქარს ან შეგირდს, „ხაზეინები“ უნდა დასთანხმდნენ ნოქრების კავშირის გადაწყვეტილებას;
13. გაფიცვისთვის ნოქრების ან შაგირდის დათხოვნა არ შეიძლება. გაფიცვის დროს უნდა მიეცეთ ჯამაგირი და პურის ფული;
14. ნოქრებსა და შეგირდებს უნდა მოემატოთ პურის ფული: ვისაცა აქვს დღეში 10 კაპეიკი, იმას მოემატება 10 კაპეიკი; ვისაც აქვს 20 კაპეიკი, მოემატება 10 კაპეიკი; ვისაც აქვს 30 კაპ. მიემატება 10 კაპ.,
15. ორივე მხრიდან ზრდილობიანი მოპყრობა;
16. ნოქრებმა და შეგირდებმა არ უნდა ილოთონ; თუ ლოთობას ან ავაზაკობას დაიწყებენ, „ხაზეინმა“ არ დაფაროს და რაც შეიძლება საჩქაროდ გადასცეს ნოქრების კავშირს.

ამ პირობებზე თანხმობა განაცხადეს ძველი ტანისამოსის მოვაჭრეებმა. ხელი მოაწერა ოცდა ორმა მოვაჭრემ.

## ხოლერა

**სიმბირსკი.** გუბერნიაში ავად გახდა 3 კაცი, გარდაიცვალა 2; ქალაქში გარდაიცვალა 1.

**განჯა.** ნუხაში ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 11. მორჩა 2.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** (საღამო ილია ჭავჭავაძის სახსოვრად 16 ენკენისთვეს). ჩემდა სამწუხაროდ, ეს წერილი საყვედურით უნდა დავიწყო საღამოს გამგეთა მიმართ: ვერც დრამატიულმა ნაწილმა და ვერც ლიტერატურულმა ვერ დაგვაკმაყოფილა. არა სჩანდა არც მზადება და არც სცენის ცოდნა.

„დედა და შვილი“, მართალია, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამ პიესის დამდგმელმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ სცენაზე სავარძლები და სხვა საამდროვო სამკაული არ უნდა იყოს. ამის გარდა დედა იმდენად დაავადებულია, რომ შვილის წასვლისათანავე იგი ტანჯულ სულს ღმერთს აბარებს. ამის დაგვარად იგი უნდა წარმოადგენდეს დასუსტებულსა და მიხრწნილ ადამიანს. ქ-ნ დავითაშვილისას თუმცა მოხუცებულ ადამიანის გრიმი გაეკეთებინა, მაგრამ იმდენად ჯან საღად გამოიყურებოდა, რომ იმისმა სიკვდილმა სცენაზე ის მაყურებელნი, რომელთაც „დედა და შვილი“ არა ჰქონდათ წაკითხული (ამისთანა ხომ ბევრია ჩვენში) განაცვიფრა. ქ-ნმა დავითაშვილისამ ვერც ლექსის კითხვით დაგვაკმაყოფილა. აშკარად სჩანდა, რომ ილიას მძლავრი ლექსი ვერ შეესისხლხორცებინა და ამიტომ ვერც მსმენელებზე მოახდინა შესაფერი. ქ-ნ დავითაშვილის პარტნერს ბ-ნ გვარამაძეს უფრო მეტი [illegible] ეტყობოდა. ხოროზე ბევრს არაფერს ვიტყვი: [illegible] სამგლოვიარო [illegible] უფრო [illegible] ბობდა, ვიდრე საომარ ხმას.

უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა სცენამ ყაჩაღთა ცხოვრებიდან. არტისტ გვარამაძის მოხდენილი და გაშინაარსებული კითხვა ბევრს დააკმაყოფილებდა, რომ ბ-ნ დადიანის გულგრილ სიტყვა-პასუხს ხელი არ შეეშალა იმისთვის.

ლიტერატურულ ნაწილში წაიკითხეს სულ ოთხი ლექსი ილია ჭავჭავაძისა და გარდა ქ-ნ დავითაშვილისა, რომელმაც მართლა მშვენივრად წაიკითხა „დედა-ქართლისა“, სხვებს იმდენი ჯაფაც-კი არ მიუღიათ, რომ ორად-ორი ლექსი დაეზეპირებინათ. გარდა ამისა, ნუ თუ ილია ჭავჭავაძის ლექსთა შორის „იანიჩარის“ მეტი ვერაფერი მონახეს?

ცოცხალ სურათებზე ვერაფერს ვიტყვი იმის მეტს, რომ გამგენი ძრიელა სცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მოეწონათ მხოლოდ განსვენებულის სურათი. ხალხი მგოსნის სურათს ფეხზე ადგომით მიეგება და ფეხზე დგომითვე მოისმინა დ. მესხის მიერ წაკითხული ლექსი „ულვთო იყო შენი სიკვდილი“.

ხალხი მრავლად იყო. სჭარბობდა მოსწავლე ახალგაზრდობა. ჩვეულებრივი ყიჟინი, უწესოება და სხვის ადგილების დაჭერა ისე გაუჯდა ახალგაზრდობას ძვალ-რბილში, რომ ილიას სახსოვრად გამართულ საღამოზედაც-კი ვერ შეიკავეს თავი და თეატრი ამის გამო „ბალაგანს“ უფრო ჰგავდა. დროა, დროა ამ გარემოებას მოსწავლე ახალგაზრდობამ ყურადღება მიაქციოს.

—

**ოპერა.** მასსენეს ოპერა „ვერტერი“ თავისებური სახისა და ტიპისაა. იგი რიდი ეკიდოკვება უკვე არსებულ ფორმებს საოპერო მუსიკისას. თუ წინანდელ ოპერაში უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს სიმღერას სამაგიეროდ „ვერტერში“ უფალი და ბატონი ორკესტრია; ამ მხრივ იგი შესანიშნავია, რადგან დიდის მეტყველებით ასურათებს ამა თუ იმ გრძნობას, გულის თქმას, უწყებულ დრამატიულ მდგომარეობის შესაფერს თვით სიმღერა მხოლოდ დამატებაა მუსიკალურ დრამისა. ესა თუ ის მუსიკალური აზრი ჯერ ორკესტრში აღიძვრის ხოლმე, ვითარდება, იზრდება და შემდეგ მხოლოდ სიმღერაში გამოითქმის. ამიტომ ორკესტრს დიდი მომზადება და წვრთნა სჭირდება. ამის გამო რაღა თქმა უნდა, რომ ამ ოპერაში უმთავრესი როლის აღმასრულებელი დირიჟორია; მას უეჭველად უნდა შესწევდეს გამოცდილება, უნარი და განსაკუთრებით კი მუსიკალური ალღო, რომლის საშუალებით შეიძლოს აღნიშნოს ყოველი მუსიკალური მადლი ოპერის საორკესტრო ნაწილში უხვად გაფანტული.

ბ-ნმა ივ. ფალიაშვილმა,—რომელიც ხელმძღვანელობდა ორკესტრს გუშინ-წინდელ წარმოდგენაში,—ზემოხსენებული თვისებები კარგის დირიჟორისა ზედმიწევნით გამოიჩინა. ძლიერის და აზრიანის ხელით მას შეაქვს მწყობრი ერთსულოვნება თავის თანამშრომელთა მუშაობაში, მაშინ როდესაც თავის-თავად იგინი განკერძოებულნი არიან თავის მოქმედებაში. ყურს უგდებდი ორკესტრს და ასე მეჩვენებოდა, რომ ორკესტრი—პალიტრაა, დამკვრელნი და საკრავები,—კერძოდ აღებულნი ფერადები და ბ-ნი ფალიაშვილი-კი მხატვარი, რომელიც ნაცდის და უნარიანის ხელით ამ ფერადებისაგან ტანჯვა-სიამეთა მშვენიერ სურათსა ჰქმნიდა. განსაკუთრებით მშვენიერად იქმნა აღსრულებული ორკესტრის მიერ ლირიკული ინტერმეცო პირველ მოქმედებაში შარლოტასი და ვერტერის სიყვარულის აღმბეჭდავი და დარამატიზმით აღსავსე სიმფონია მესამე მოქმედებისა, რომლის შემდეგ საზოგადოებამ დიდის ტაშის კვრით დააჯილდოვა ბ-ნი ფალიაშვილი.

მომღერალთა შორის სამი ახალი არტისტი იყო „ვერტერ“-ში მონაწილე—ბ-ნი მახინი და ქ-ნნი კორსაკოვა-ლიუბანსკაია და ფედოროვსკაია. ბ-ნს მახინს კარგ მომღერალის სახელი აქვს მოხვეჭილი რუსეთში, მაგრამ ვერტერის პარტიის აღსრულებით ვერ დაგვაკმაყოფილა; თუმცა ფრაზიროვკა კარგი აქვს, მაგრამ დიქცია ნაკლებად მეტყველი. მისი ხმა ძლიერ ჰანგებში ყელში გამოვანა, დანარჩენ ადგილებში მთლად ფალცეტით

მდერის და ნაკლებად ისმის. ქ-ნ კორსაკოვს ხმა ძლიერია, მაგრამ კრძნობა—ნაკლები, სიღრმეზე ადგეგთიდი, დიქცია სრულიად გაუგებარი აქვს. ქ-ნი ფედოროვსკაიას შაწია დირიჟიდი სოპრანო აქვს არა უწორდა რა სოფის როლში.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. ი.

# რუსეთი

✦ **საპოლიციო მუზეუმი.** პეტერბურგში არსებობს საპოლიციო მუზეუმი, სადაც აგროვებენ ყოველნაირ მასალასა და ნივთებს, თუ მათ რაიმე დამოკიდებულება აქვთ პოლიციის საქმესთან. მუზეუმისთვის გადაუციათ, სხვათა შორის, პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ფონ-ლაუნიცის მკვლელის თავი, რომელიც დღემდის სასამართლოს ჰქონდა, როგორც დამამტკიცებელი საბუთი.

✦ **გაფლანგვა.** პეტერბურგის საზღაო კორპუსის ხაზინადარს გაუფლანგავს 48505 მან., მერე 9 დღით დასთხოვებია შინ წასასვლელად და მას აქეთ აღარსად სჩანს.

✦ **პარტიის ფულის გაფლანგვა.** ჭეშმარიტ რუსთა კავშირის გამგეობას აღმოუჩენია, რომ გამგეობის ერთ წევრს აუარებელი ფული გაუფლანგავს. საქმე იმით გათავდა, რომ ქურდი პარტიიდან გაუძევებიათ.

✦ **ყარანგოზოვის მკვლელი.** ამ დღეებში სადგურ „მინერ. ვოდ.“-ზე მოუკლავთ პოლიციის ჯაშუში გემესი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გ.-გუბერნატორის ყარანგოზოვის მკვლელობის აღმოჩენა. გემესმა აღმოაჩინა, რომ ერთი მკვლელის გვარი ვერტეპოვია და დაუწყია მისი ძებნა. ერთ დღეს გემესი ბაღში შეხვედრია ვერტეპოვს. ორივეს ერთმანეთი უცვნიათ. ვერტეპოვმა დაასწრო, მოჰკლა გემესი და მიიმალა.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

18 სექტემბერი.

**სევასტოპოლი.** 16 სექტემბერს დააპატიმრეს ცხრა კაცი, რომელნიც ბრესტსკი პოლკის ჯარის კაცებს აქეზებდნენ აჯანყების მოსახდენად. დაპატიმრებულთა შორის არის კრონსკიც, რომელიც კვანტუნის საციხო ¦არტილერიის პორუჩიკად იყო.

**სიმფეროპოლი.** ევპატორიის მაზრაში სროლის დროს მოჰკლეს სტრაჟნიკი და ერთი ბოროტ-მოქმედი.

**ლოძი.** ზახოდნი ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს მიმავალი მეწაღე.

**ოდესა.** ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკურმა ფაკულტეტმა დაადგინა, სთხოვოს საერო განათლების მინისტრს, პირადად მიიღოს პროფესორი კამენსკი და მოისმინოს იმისგან საქმის ვითარება.

**სევასტოპოლი.** ბრესტსკის პოლკის ყაზარმაში ვიღაც უცნობთ სურდათ ალიაქოთის მოხდენა. იპოვნეს გატეხილი ყუმბარა.

**რიაზანი.** 15 სექტემბერს გლეხებს გაუნაწილეს 13518 დესეტინა მიწა, შეძენილი საგლეხო ბანკის მიერ.

**ჰელსინგფორსი.** მირითად კანონების სასეიმო კომისიამ თანხმობა განაცხადა, გადაედეს სახელმწიფო ხაზინას 20 მილიონი მარკა სამხედრო საჭიროებისათვის.

სადგურ კიუმზე მატარებლით გაიარეს სენატორებმა მოხელანმა და იგნაციუსმა. მუშებმა საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს. პოლიციელებმა ხალხი გაფანტეს.

**ნოვგოროდი.** ზიკოვის ქალს მნა დაუწვეს. იმისმა შვილმა მჭვი ერთ კაცზე მიიტანა და მოჰკლა.

**ვლადივოსტოკი.** სამხედრო სასამართლომ მესამედ გაარჩია საქმე ციმბირის ბანკის გამარცვის შესახებ. ერთ კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ დაადგინეს ითხოვონ სასჯელის შემსუბუქება. სხვები გაამართლეს.

**ვლადიმირი.** ბალინის ფაბრიკის მუშებმა დირექტორის გამევება მოითხოვეს, ფაბრიკის ადმინისტრაციამ 3400 კაცს ანგარიში გაუსწორა.

ქადალდებიანად დაიწვა ლიპინის სოფლის სასამართლო. გრაფინია უვაროვის ტყის ზედამხედველი მსუბუქად დასჭრეს. ცეცხლ მოკიდებული სასამართლოსკენ მიეჩქარებოდა.

**არხანგელსკი.** დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. მათ შეპყრობას კავშირი აქვს ამ დღეებში აღმოჩენილ ს-დემოკრატების სტამბასთან.

**გროდნო.** პრუჟანის მაზრის სოფ. გალინში სასიკვდილოდ დასჭრეს ურიადნიკი და მოჰკლეს სტრაჟნიკი. მოჰკლეს აგრეთვე ერთი ბოროტმოქმედი, მეორე მიიმალა.

**პერემიშლი.** საერობო კრებაზე აირჩიეს 15 მემარჯვენე, 2 ზომიერი და 1 კადეტი.

**ხარკოვი.** კუპიანსკის საპატიმროს აჯანყების საქმე გამოიძიეს და კიევის სამხედრო სასამართლოს გარდასცეს.

**კამენეც-პოდოლსკი.** პრასლავის მაზრის სოფ. ციბულევკაში ციმბირიდან გამოქცეული გლეხი ეკლესიის გაქურდვას ლამობდა. გლეხებმა მოუსწრეს მას და მოჰკლეს.

**ხარკოვი.** დილით ქალაქ გარედ მოინდომეს წინა დღით აღმოჩენილ ყუმბარების დაცლა. ერთი ყუმბარა დანიშნულ დროზე ადრე აფეთქდა და მძიმედ დაიჭრა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი რეიტერი და კაზაკთა სოტნიკი ჩერებანოვი. რეიტერს დაეთუთქა პირი და თვალები, მარცხენა ხელიც მაჯასთან მოსაჭრელი გაუხდა. ჩერებანოვს პირის სახე აქვს დამახინჯებული.

**ვარშავა.** ვარშავის მახლობლად სოფ. გლუგეშლიაზეტსკოიში კათოლიკებმა დამე ერთი მარიავიტის ქალის გვამი საფლავიდან ამოიღეს და იქვე დააგდეს.

**კიშინიოვი.** კალაისში ამოსწყვეს მდიდარ გლეხის ოჯახი—ორი ქალი და ხუთი ბავშვი. ერთი პატარა ქალი გადარჩენოდათ. გოგოს ჩვენებით რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

**ბალტა.** საგლეხო ბანკის მიერ შეძენილ 15,000 დესეტინა მიწას გლეხების დასარიგებლად ხუტორებად ჰყოფენ.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს დეპეშა, რომელიც რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის მთავრობებმა გაუგზავნეს თავიანთ ელჩებს აფინში, ბელგრადში და სოფიაში. ამ დეპეშაში რუსეთისა და ავსტრო უნგრეთის მთავრობანი ძლიერ ჰკიცხავენ მაკედონიაში რაზმების მოქმედებას. სანამ რაზმები არ მოისპობა, მაკედონიის დამშვიდება შეუძლებლად მიაჩნიათ.

**კიევი.** პატიმრები თავს დაესხნენ მეთვალყურეს და იარაღი აჰყარეს. დერეფანში მდგომმა დარაჯმა სროლა ასტეხა და ოთხი კაცი დასჭრა, მაგრამ პატიმრები მასცვივდნენ და იარაღი წაართვეს. სროლაზე სამხედრო ყარაული მოვიდა და უმსხვერპლოდ აღადგინა წესიერება.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი**

**პეტერბურგი.** 18 სექტემბრისთვის გლეხთა მიერ არჩეულ რწმუნებულებს მიემატა 845 კაცი: 4 ოქტომბრისტი, 9 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 13 კადეტი, 1 ს.—დემოკრატი, 2 მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი, 19 ლატიში ნაციონალისტი, 46 ლატიშთა რეფორმის პარტიის წევრი, 50 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 33 მემარჯვენე, 109 მემარცხენე, 9 პროგრესისტი, 210 უპარტიო, 60 უცნობი.

წვრილ მემამულეთ მიემატათ 745 კაცი: 5 რუსთა კავშირის წევრი, 10 ოქტომბრისტი, 18 კადეტი, 5 კადეტთა თანამოაზრე, 2 ს-რევოლიუციონერი, 2 დაშნაკცაკანი, 35 ნაროდოვეცი, 81 ნაროდოვცების მომხრე, 56 თავის თავის მონარქისტად მაღიარებელი, 184 მემარჯვენე, 18 ზომიერი, 57 მემარცხენე, 1 უკიდურესი მემარცხენე, 8 პროგრესისტი, 238 უპარტიო, 25 უცნობი.

მუშაკებს მიემატათ 62 რწმუნებული: 5 რუსთა კავშირის წევრი, 9 ს.-დემოკრატი 8 მემარჯვენე, 14 ზომიერი, 1 მემარჯვენეთა თანამოაზრე, 14 მემარცხენეთა თანამოაზრე, 7 უცნობი.

18 სექტემბრისთვის გლეხებს მიემატა 5 ამომრჩეველი: 1 ოქტომბრისტი, 3 თავის თავის მემარჯვენედ მაღიარებელი, 1 ზომიერი.

მოქალაქეთა ამრჩევლებს მიემატა 1 ამომრჩეველი—კადეტი.

მუშებმა პალტავაში აირჩიეს ერთი ამრჩეველი ს.-დემოკრატი.

**უ ც ხ ო ე თ შ ი**

17 სექტემბერი.

**კაზაბლანკა.** მულაი გაფიდი 25,000 კაცით და 25 ზარბაზნით მზადაა მარაკეშიდან საბატაში გასალაშქრებლად. გზაზე სარდალი მულაი რაშიდიც შეუერთდება.

**მარსელი.** იტალიის გემ „არმონია“-ზე 3 სექტემბერს ერთი მატროსი გარდაიცვალა შავი ჭირით. გემი ბეირუტიდან გამოვიდა 12 აგვისტოს და 4 სექტემბერს მარსელში მოვიდა. სხვები კარგად არიან. 5 სექტემბერს მგზავრები ნაპირს გადავიდნენ.

**პარიზი.** ორანში 4 კაცი გახდა ავად. ერთის ავადმყოფობა შავი ჭირად სცნეს.

**თეირანი.** მეჯლისმა განიხილა და მოიწონა პროექტი კონსტიტუციის შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხელენი გაიფიცნენ. ამის გამო მინისტრი სამსახურიდან გადადგა.

**ბუდაპეშტი.** სოციალისტებს განზრახვა აქვთ 10 ოქტომბერს გამართონ მანიფესტაციები და მოითხოვონ საყოველთაო საარჩევნო უფლება. ამის გამო სახაზინო რკინის გზების გამგეობამ გამოაცხადა, რომ 9 და 10 ოქტომბერს რკინის გზის არც ერთს მოსამსახურეს სამსახურიდან არ გაანთავისუფლებენო. იმას, ვინც სამსახურში არ გამოცხადდება, დაითხოვენ.

**ტანჟერი.** იმპერატორმა ბრძანება გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაუყოვნებლივ შეუდგვენ პროვინციებში თვითმართველობის შემოღებისათვის გეგმის შემუშავებას. გამოაქვეყნეს აგრეთვე ბრძანება, რომლის ძალითაც უმაღლეს თანამდებობაზე უნდა მიიღონ მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც კარგათ ესმით კონსტიტუციის საქმე.

**ტოკიო**, ამერიკის სამხედრო მინისტრმა ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა. მან სთქვა: თუმცა პატარა ღრუბელმა დაჩრდილა იაპონია-ამერიკის 50 წლის მეგობრობა, მაგრამ უძლიერესმა მიწის ძვრასაც არ შეუძლიან შეარყიოს ამ ორ სახელმწიფოს მეგობრობაო. ომი მათ შორის დანაშაული იქმნება ცივილიზაციის წინაშე. ორივე სახელმწიფო აღსავსეა ურთიერთ შორის კეთილ სურვილებითაო.

**კალკუტა.** საზოგადოებათა პალატის და მუშათა პარტიის წევრს კეირჰარდს აღმოსავლეთ ბენგალიაში მოგზაურობის დროს ხალხი ადტაცებით უსმენდა. კეირჰარდმა ინდუსების მიმართ სიტყვებში ის აზრი გაატარა, რომ ინდოეთს ისეთივე უფლება აქვს თვითმართველობაზე, როგორც კანადასაო. ყოველ ღონეს ვიღონებ, რომ ინდოეთიც ისეთივე თვითმართველობის მქონე ახალშენად გადაიქცესო.

რედაქტორ-გამომცემელი

**გ. ავალიშვილი.**


# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

**ი ყ ი დ ე ბ ა**

## ილია ჭავჭავაძის ბიუსტი

**ფასი 1 მანეთი**

წმინდა მოგება გადადებულია ილია ჭავჭავაძის ფონდისათვის. (3—6.—3)

## ТЕТРАДИ

Для прямого русскаго письма, სახმარებული იაკობ გოგებაშვილის Русское Слово-სთან. ისყიდება თბილისში გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი 3 კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, ორ-კაპეიკ ნახევრად დაეთმობა რვეული. (5—519—4)

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გატეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა**, იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშურებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, **იწყებენ** ნაყოფიერ მუშაობას უჯრედეის აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **„სპერმატინი“** შედეგია **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელს წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მოაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებისა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი. და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება ამის შემდეგ. განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი“ მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს,** ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **გ. მნაცაკანოვისა,** ტფილისი, 22 აგვისტო.

„**მ. ს. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმინგერ.** 19 აპრილი 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმანტინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვიკარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ, იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1მაისი 1907 წ.“.

**მ. ს. ბ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით“. ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება, გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის“ ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შეწევნისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეკი, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას, წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **ბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—6.—5)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦




# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება ფეხსაცმელი პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვე სპეცია რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—63)